ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1576725

ნომერი: AR1258275

თარიღი : 15.10.2014

გაცემის თარიღი : 06.11.2014

გაცნობის თარიღი : 06.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩის გაგრძელებაზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან არსენიშვილი პ/ნ 01009009013
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 45 ბ. 54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე ლევან არსენიშვილმა 15.10.2014 წ. #AR1258275 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქსნის ქუჩის გაგრძელებაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1868 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.12.08.039.143 ავტოსერვისცენტრის აშენების

მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით, ავტოსერვისცენტრს უნდა დაემატოს არსებული შენობის რეკონსტრუქცია (ავტოსერვისი).
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ობიექტის დასახელება უნდა დაფიქსირდეს: – ავტოსერვისცენტრი და არსებული შენობის რეკონსტრუქცია (ავტოსერვისი);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს შემდეგი შენიშვნა:
• შესაბამის გრაფაში დაემატოს – მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია: საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავედ არსებული შენობა–ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.01.2014 წ. #1062938 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.